ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 25-70

11 ოქტომბერი
"---"-------- 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 04/01/2016, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.016255) და დადგენილების პირველი მუხლის „ვ" ქვეპუნქტით დამტკიცებული„C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №6) მე-2 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹"ქვეპუნქტი:

„ბ¹) 2016 წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების კომპონენტში ჩართულ ყველა მოსარგებლეს (გარდა ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსარგებლეებისა) დაუფინანსდეს ამ წესის მე-8 და 8¹ მუხლებით დადგენილი მომსახურების ღირებულების 60 %, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით."

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი